№ 128, ივნისის 18, სამშაბათი. 1866—1885 ივნისის 18, სამშაბათი. № 128.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაქერილნი. ადგილსაგალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთის „დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს დაჩქარონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ გაზეთი მოესპოთ.

შინაური ქრონიკა

ᲑᲐᲡᲣᲚᲡ კვირაში თბილისში მოხდა ერთი ისეთი შემაძრწუნებელი ამბავი, რომლის მოწამე არა თუ თბილისი, გვგონია, სხვა რომელიმე ქვეყანა, კუთხე—დედა-მიწისა ძვირად ყოფილა. ამ ამბავის გამგონენი დარეტიანებულნი ეკითხებიან ერთმანეთს: «აბა, რას ამბობ, დასაჯერებელია. ბონება ირევა. შეიძლება ასეთი ზარდამცემი ავაზაკობა. ბაგონილა ასეთი მოვლენა და სხვ. და სხვ. მეტყობა, ამ ცოდვილს დედა-მიწაზედ ყოველივე მოსალოდნელია და ეს ყოვლის უმსგავსი, აუწერელი ბოროტებაც იმიტომ მოხდა!»

თავის დროზე ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს ქალაქში მცხოვრებ არტემ ბალუსტოვის 4-5 წლის ბავშვის—ქალის დაკარგვის ამბავი. ივნისის 12-ს, საღამოს 6 ს საათზე დაიკარგა ბავშვი. ამ დღეს და მეორე დღესაც შეიძრენ ავლაბრის მცხოვრებნიც და პოლიციაც, მაგრამ ვერავითარს კვალს ვერ მიაგნეს. ღამე 13-დამ 14 ივნისს ბალუსტოვის პატარა ქალი ნახეს ყელში თოკ-წაჭერილი მშობლების ფანჯარასთან ქუჩის მხრით. 14-ს კვალსაც მიაგნეს. დამნაშავედ იცნეს კალატოზი დავით ჯავახოვი, რომელიც ბალუსტოვების სადგურშივე სცხოვრებდა. ამ სადგურის ზევით სართულში, ერთს ცარიელს ოთახში აღმოაჩინა პოლიციამ ცხადი ნიშნები საზარელის ბოროტებისა: სისხლის წვეთები, თმები და თოკები... ბოროტ-სულს ჯერ გულ-საგმირი პირუტყვობა ჩაუდენია ხუთის წლის ბავშვზე და შემდეგ თოკით წაულრჩვია იგი. ქალატოზი იმ წამსვე დაატუსალეს, მას ტანზედაც უპოვნეს გამამტყუნებელი ნიშნები: პერანგი და ამის ამხანაგი სისხლით ჰქონდა გასვრილი და ამას იმით ხსნიდა, რომ ცხვირიდამ სისხლი წამსკდაო. მაგრამ ნიშნები თვალ-წინ იყო: სხვათა შორის იმ ადგილს, სადაც ბოროტება უნდა მომხდარიყო, უეჭველია, აღმოაჩინეს კიდევ: ბავშვის ტანსამოსი, ტყავის ნაფლეთები ბავშვის ხელისა და გასისხლიანებული ფიცარი, რომლითაც დამნაშავეს დაეფარა დამარხული ბავშვი: ბოროტსულს იქვე, ბანზე გაეთხარა საფლავი და ჩაემარხა შიგ თვისი მსხვერპლი. მხოლოდ 13-14 ივნისს ისევ ამოეღო გახრწნილი გვამი თვისის მსხვერპლისა და მშობლების სადგურის ფანჯარასთან მიეგდო იგი. 15-ს გამომძიებელმა ჩამოართვა ჩვენება დამნაშაევს. იგი გამოტყდა, მხოლოდ იმით განმარტა თვისგან ჩადენილი მკელელობა, რომ ბავშვის მოტაცების ღღეს მას ქალის სახით თვალწინ წარმოუდგენ ავ-სულნი, ეშმაკები, რომელნიც დაღრჩობას ემუქრებოდენ თვით მას, თუ იგი არ მოიტაცებდა და არ დაღრჩობდა ბალუსტოვის ბავშვს. ეს იყო მიზეზი, რომ მან განიზრახა ასეთი ბოროტების ჩადენა; ბავშვის გაუპატიურებაზე უარს ამბობდა.

დამნაშავე მეტეხში ზის. საზღვარი არა ჰქონდა ავლაბრელების სიბრაზეს, როდესაც პოლიციას მიჰყავდა დატუსაღებული ციხისაკენ. ბააფთრებული გუნდი ხალხისა გარს ეკვლებოდენ ცხენოსან ჯარს, რომელთ შუა მიდიოდა დამნაშავე, ითხოვდენ მის თავს მათის ნებით განსასჯელად. ბევრთ იარაღიც ეშიშვლათ. ლანძღვა-წყევა-გინებით და კრულვით ციხემდის მიაცილა გააფთრებულმა ხალხმა დამნაშავე.

ხალხში ლაპარაკობენ, რომ ამ ორი წლის წინად დამნაშავე კალატოზი არტემ ბალუსტოვის უფროსს ქალსა სთხოვდა ცოლადაო, მაგრამ უარი მიიღოო...

საბრალო ბავშვის გვამი 14 შეამოწმეს ექიმებმა და შემდეგ დამარხეს.

ᲑᲝᲠᲘᲡ სამოსწავლო სემინარიაში წელს 27-მა ახალგაზდამ დაასრულა სწავლა; ამათში ცამეტი ქართველები არიან და მომეტებულმა ამათგანმა უკვე დაიჭირა ადგილები საქართველოს სხვა-და-სხვა მხრის საოფლო სკოლებში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ პირველს გიმნაზიაში წელს 34 მოწაფეს გაუთავებია კურსი. მათ შორის 11 ქართველი, 11 რუსი, 10 სომეხი, 1 პოლშელი

უბრალო ამბავი

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

„Es ist eine alte Geschichte,
Doch bleibt sie immer neu“.
Heine.

(შემდეგი *)

ჩემი მოსაუბრე ადგა, გაიარ-გამოიარა ოთახში რამდენჯერმე, შემდეგ ისევ დაჯდა და ღრმად ჩაფიქრდა.

«ლუკას გაკვეთილები დაიწყო,—განაგრძო მან ისევ. მისი მეცადინეობა სწორედ მაკვირვებდა: ისე მედგრად მოჰკიდა თავის საქმეს ხელი, რომ თითქმის ორი კვირის განმავლობაში კითხვა ისწავლა. ამის შემდეგ ლუკასთვის დრო ისე მირბოდა, რომ ვერც-კი ამჩნევდა: ის თითქო ულაპავდა ერთი მეორეზედ ქართულს წიგნებს, რომელიც კი მოხვედებოდა ხელში და თუმცა ხანდისხან ბევრი გაუგებარი რჩებოდა მისთვის, მაგრამ ეს მას არ აშინებდა; ზღაპრები, ხალხური ლექსები, ძველი ჟურნალები,—«ᲒᲘᲡᲙᲐᲠᲘ» «ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ» და სხვ., რჩეულოვის რომანები და მოთხრობანი, «სურამის-ციხე», «ᲥᲐᲪᲘᲐ-ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ», «ᲑᲚᲐᲰᲘᲡ-ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘ»,—ერთის სიტყვით რასაც კი იმ დროს იშოვნიდა კაცი საკითხავად,—სულ ეს აჭრელებული მასალა გახდა მისი პატარა ტვინის უსაპიროეს საზრდოდ; იმ ფულს, რომელსაც მე ხშირად ვაძლევდი ლუკას ხილისთვის, ის ინახავდა და შეუდგებოდა თუ არა ჯიბეში საკმაო თანხა, წავიდოდა, რომელსამე ქართულს წიგნს იყიდდა და მაშინვე მიუჯდებოდა საკითხავად. ხშირად, როცა გიმნაზიიდამ მოვიდოდი, ლუკა დამხვედებოდა სტოლთან დამჯდარი იდაყვ-დაყრდნობილი, გართული წიგნის კითხვაში... ის აღტაცებით მიამბობდა ხოლმე, რაც წაეკითხა. საღამოობით, როცა მე ჩვეულებრივს ეგვიპტურს შრომას შევუდგებოდი და ლათინური გრამატიკის სიბრძნის შეგნებას ვსცდილობდი, ის მომიჯდებოდა გვერდით და ხალისით იწყებდა თავის საყვარელ საქმეს. ამ წესით გაიარა ორმა წელმა...

«მაგრამ ცოტა არ იყოს ეს პატარა ამბავი გაგრძელდა; რომ თავი არ მოგაბეზროთ, პირდაპირ გაგიცხადებთ, რომ ლუკა ჩვენის კეთილის მასპინძლის შემწეობით, რომელიც კარგად ხედავდა მისს სწავლისადმი სურვილს და ნიჭს, მიღებულ იქმნა საქალაქო სკოლაში. საქმე ის არის, რომ ამ სკოლის უფროსი კარგს განწყობილებაში იყო ჩვენს მასპინძელთან და სალამოობით, მოცლილს დროს ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე მას; ერთ-ერთს ამ საღამოთაგანს მათ შორის ჩამოვარდა ბაასი ლუკაზე და თანაც გადასწყდა უკანასკნელის ბედი... ლუკამ დაიწყო სკოლაში სიარული.

«ჩვენ ბეჯითად ვსწავლობდით; მე' რასაკვირველია, უფრო ლათინურს ვეტანებოდი, და, უნდა გავტყდე, პირველი «კლასიკი» გახლდით გიმნაზიაში. ხუმრობა კი ნუ ჰგგონიათ კლასიკობა! თუმცა მესამე კლასში ვიყავი, მაგრამ ჩემზე, როგორც რომაელების ენის ზედ მიწევნით მცოდნეზე, ხშირად მეშვიდე კლასშიაც-კი ლაპარაკობდენ შეგირდები! «საკვირველია! ამბობდენ ისინი, ამ პატარა შანო სადრაძის თავში მთელი ციუნერის გრამატიკა როგორ დაეტია?» ამათზე ნაკლებ განცვიფრებაში არც თვითონ მასწავლებელნი იყვნენ და თავიანთ პედაგოგიურის შორ-გამჭვრეტელობით ხედავდენ ჩემში მომავალს მსწავლულს, რომელმაც, მათის აზრით, ძირიანად უნდა შესცვალოს თანამედროვე შეხედულობა ამ ძველის, მშვენიერის და «ფრიად სასარგებლო» ენის შესახებ... ასე, თუ ისე—მაღლად მეჭირა თავი, და როგორც ქართველს შეჰფერის, გულადად გადავდიოდი ერთის კლასიდამ მეორეში; ბოლოს უკანასკნელსაც მივაღწიე; არც ლუკა ჩამომრჩა უკან, თუმცა წიგნების კითხვით უწინდელზედ უფრო გატაცებული იყო.

— თქვენ კი, რასაკვირველია, არაფერს არ კითხულობდით, რადგანაც დრო არა გქონდათ,—ჩაეურთე მე.

ამ შენიშვნაზე მწარე ღიმილმა შეათამაშა მისი ტუჩები.

— «აკი მოგახსენეთ, რომ მე «კლასიკი» გახლდით მეთქი. ზანა კლასიკს შეჰფერის სხვა წიგნების კითხვა, გარდა «კლასიკებისა„? ეს მას ისე მოუხდება, როგორც «თხას კრიანოსანი»! მაგრამ განვაგძროთ. მე და ლუკამ თითქმის ერთად გავათავეთ სწავლა; მან მიიღო უბრალო მოწმობა, მე-კი ის ძვირფასი ჯადოიანი თაბახი, რომლის სასწაულთ-მომქმედი თვისება თქვენც გექმნებათ გამოცდილი, ესე იგი ის თვისება, რომლითაც მას შეუძლია თავის პატრონი

(* იხილე „დროება“ № 127.

და 1 თათარი. უმთავრესი ჯილდო ოქროს მედალი მიუღია ქართველს კოსტანტინე ბავითაშვილს.

ᲝᲝᲝ რეალურს სასწავლებელში 19 მოწაფეს გაუთავებია კურსი. ᲘᲑᲠᲐ ლარიბი მოწაფისათვის მიუცია სამოწაფო ფონდიდამ შემწეობა 100—240 მან. ზოგიერთა მათგანს ᲭᲡᲣᲠᲗ შეეიდენ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ ახლად დაარსებულ ტექნოლოგიურს ინსტიტუტში.

ᲝᲝᲝ წლეულს ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გიმნაზიაში 25-ს ყმაწვილს დაუსრულებია კურსი და მათ შორის რვას ვერ მიუღია მოწიფულობის ატესტატი. ᲐᲛ 25-ში 1 ბერძენია, 6 რუსი და 18 ქართველი. აი, ქართველთა გვარები: ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲚᲣᲚᲐᲫᲔ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, ᲐᲗᲐᲜᲐᲡᲔ ᲯᲐᲕᲐᲠᲘᲡᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲚᲐᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲗᲘ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲔᲡᲮᲘ, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲜᲝᲓᲘᲐ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲬᲘᲪᲮᲔᲚᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ, ᲖᲔᲠᲐᲡᲘᲛᲔ ᲗᲐᲗᲣᲖᲝᲕᲘ, ᲛᲘᲮᲐᲘᲚ ᲮᲔᲚᲗᲣᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲔᲘᲛᲝᲜ ᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲭᲐᲜᲗᲣᲠᲘᲐ და ᲐᲜᲢᲝᲜ ᲔᲓᲘᲒᲐᲠᲝᲕᲘ.

ᲝᲝᲝ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ სახემწიფო ქონებათა გამგეობა მისის მოთავის ბ. ᲢᲘᲮᲔᲕᲔᲡᲘᲡ თაოსნობით ისე მოქმედობს, როგორც შეჰფერის ნამდვილად ხალხისათვის გულ-შემატკივარს დაწესებულებას. ᲛᲙᲘთხველებს ეხსომებათ, რომ ამ დაწესებულებამ გაგზავნა ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში სახემწიფო გლეხ-კაცების ყოფა-ცხოვრების გასაცნობად განგებ ამ საქმისათვის დანიშნულნი პირნი და მათს შრომას, რომელიც ძვირფასს საუნჯეს შეადგენს ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ შემსწავლელთათვის, ცალკე წიგნებად ᲰᲑᲔᲭᲓᲐᲕᲡ. ᲐᲛ დღეებში გამოვიდა კიდევ მესამე წიგნი, ჩვეულებრივად მშვენიერად გამოცემული, რომელშიაც დაბეჭდილია ორის «გამომკვლეველის» შრომა. ᲔᲠᲗᲘ შეეხება ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს (Შ. Ტ. ᲛᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡᲐ) და მეორე ᲐᲮᲐᲚ-ᲑᲐᲘᲐᲖᲔᲗᲘᲡ მაზრის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილს Ა. Ვ. ᲞᲐᲠᲕᲘᲪᲙᲘᲡᲐ).

ᲝᲝᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲡᲐᲑᲠᲐᲜᲘᲐᲛ“ ანუ როგორც უწოდებენ მას ტიკჰორის კლუბმაც—რომელ სახელ-წოდებისათვისაც მისნი მეუფროსენი ძალიან ჯავრობენ, ამ დღეებში მეტის-მეტად ისახელა თავი თავისის...სტუმრის-მოყვარეობით. მის მეუფროსეთ რჩევას დიდი განგაში ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ,—გავმართათ შაბათს ღამეს ლეკური, თუ არა ახლად მოსული სტუმრებისათვის. ხმის უმეტესობით (მხოლოდ ერთი იდგა უარზედ) გადასწყვიტეს საზანდრის მიწვევა და ლეკურის გაჩაღება კლუბის «სტარშინების» მონაწილეობით.

ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ მართავდენ მერე ლეკურს და ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ შეადგინეს საჩქარო რჩევა კლუბის «სტარშინებმა»? ᲘᲥᲜᲔᲑᲐ გეგონოთ, მათი სტუმარი ან მეცნიერებაში იყოს გამოჩენილი, ან ლიტერატურაში, ან ხელოვნებაში. სრულიადაც რა. ᲘᲡᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲕᲘᲪᲐᲪ ფაბრიკანტები, რომელთაც ᲑᲠᲛᲐ-ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲡ ძალით მილიონები რგებიათ სამკვიდროდ და აი ამ სხვის მილიონების გულისთვის, კლუბის «სტარშინებმა» ლამის ფრაკები აიკალთავონ და როტონდას გარეშემო ასკინკილა ჩამოუარონ... მოდი, და ეხლაც ტიკჰორის კლუბს ნუ დაუძახებ!.

ᲝᲝᲝ როგორც ისმის, ბ. ᲑᲘᲝᲠᲗᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲗ განუზრახავს მომავალ წელიწადს გამოსცეს ქართული სურათებიანი ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ.

ᲝᲝᲝ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲓᲐᲛᲐ გვწერენ: «ᲛᲙᲘთხველებმა იციან, რომ ᲭᲣᲗᲐᲗᲣᲠᲛᲐ ხელოსნებმა ითხოვეს სახელოსნო გამგეობის გაუქმება. ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ უკმაყოფილება წარმოვსთქვით ამის თაობაზე და ეურჩიეთ ხელოსნებს ამ საქმეზე კარგად დაფიქრებულიყვნენ. ᲔᲮᲚᲐ გავიგეთ, რომ ბ. გუბერნატორს დაუნიშნავს კომისია, რომელმაც თავის მოსაზრება უნდა წარუდგინოს ბ. გუბერნატორს ამ საქმეზე. ᲘᲛᲔᲓᲘ უნდა ვიქონიოთ—კომისია სახელოსნო გამგეობის არსებობის სასარგებლოდ იმოქმედებს. საქმის გათავებამდის-კი ებძანათ ხელოსნებს ამოერჩიათ თავი, რადგანაც ძველმა—უარი განაცხადა თავის თანამდებობაზედ. ᲘᲛᲘᲡ ადგილს ამოირჩიეს დერეკიკი ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ.

ᲝᲝᲝ ᲘᲥᲘᲓᲐᲛᲔᲕ გვწერენ: «კრებების შემდეგ მეტად მოწყენილნი იყვნენ ᲭᲣᲗᲐᲗᲣᲠᲔᲑᲘ და გულის გასართობად ეხლა ცირკი გამოუჩნდათ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ წარმოდგენა ამ თვის 13-ს იყო. ხალხი ცირკში ᲑᲔᲕᲠᲘ დაიარება.»

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲒᲝᲚᲠᲘ, ივნისის 14-ს. შვიდი-რვა თვე იქნება მას აქეთ, რაც ერთმა სოფ. ᲘᲒᲣᲔᲗᲨᲘ მცხოვრებელმა მიხა ჩადუნელმა შეიტანა საჩივარი ᲒᲝᲠᲘᲡ მომრიგებელ სასამართლოში, ერთ ᲫᲚᲘᲐᲜᲐᲨᲘ მცხოვრებელს ᲑᲔᲡᲗᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔ (ᲑᲔᲡᲗᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ ოსია) ᲐᲛ საჩივრის შინაარსი იყო შემდეგი: რამდენიმე წლის წინად ხსენებული ᲑᲔᲡᲗᲐᲕᲐ-ᲨᲕᲘᲚᲘ ცხენით მიმავალებულა, გზაზედ ძილი მორევია, გადამხდარა ცხენიდამ, ცხენი ბალახზედ გაუგდია და თეითონ მოუსვენია. ᲐᲛ დროს ცხენი გაქცეულა, მოსართავები სრულიად დასწყვეტია და უნაგირიც გადმოვარდნილა. რამდენიმე დღის შემდეგ ჩადუნელს ბალახებში უპოვნია ეს უნაგირი დამტვრეული და წაუღია თავის სახლში. უნაგირის პატრონს გაუგია, რომ მისი უნაგირი უპოვნია ჩადუნელს, მაშინვე მისულა გამოსართმევად. ჩადუნელს ჯერ არ დაუნებებია, რადგანაც არ სცოდნია სინამდვილე, თუ ვის ეკუთვნოდა უნაგირი და როცა დაურწმუნებიათ, რომ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲔᲡᲗᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ ყოფილა პატრონი, მაშინ-კი მიუცია.

ᲬᲐᲠᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ, ᲒᲝᲠᲘᲡ მაზრაში რომ «ᲖᲔᲙᲣᲪᲘᲐ» იყო ჩაყენებული მავნე პირებისათვის განაჩენების შესადგენად, მაშინ როგორც სხვა პირები სჩიოდენ, რომ აღა მაჰმადხანის დროს ქათამი და ამ გვარი რამ დაჰკარგოდათ და «ᲖᲔᲙᲣᲪᲘᲘᲡ» წყალობით ერთ ქათამში სამი-ოთხი რქიანი საქონელი მიჰყავდათ, ეგრეთვე ᲑᲔᲡᲗᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲡᲐᲪ ამ შემთხვევით უსარგებლია და თავის დამტვრეულ უნაგირზე საჩივარი გაუცხადებია «ᲖᲔᲙᲣᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ» ჩადუნელის წინააღმდეგ. «ᲖᲔᲙᲣᲪᲘᲐᲡ» მიეღო მხედველობაში სინამდვილე საჩივრისა, დასცემია სახლში, წაურთმევია ჩადუნელისათვის სამი ხარი და მიუცია ᲑᲔᲡᲗᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ამბობენ, მეტი აღარა ჰყვანდა-რაო, თორემ კიდე წაართმევდენო). როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩადუნელის საჩივრით ამ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ თორმეტს ᲒᲝᲠᲘᲡ მომრიგებელ სასამართლოში განხილვის ვადა იყო დანიშნული. ხალხი ძლიერ ᲑᲔᲕᲠᲘ მოვიდა და ყურს უგდებდენ, თუ მოსამართლე როგორ დააბოლოებდა საქმეს.

ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲛ ფიცი მიაღებინა მოწამეთ და მათ აღვიარეს ყველამ ერთ ხმად, რომ «ᲖᲔᲙᲣᲪᲘᲐᲡ» წაურთმევია ჩადუნელისათვის სამი ხარი და ჩაუ-

---

«დაამწიფოს» ყოველ გარემოებათა მიუხედავად და ერთს მშვენიერს დღეს გადააფრინოს ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მთებს და თავით ბოლომდე დამწიფებული დასვას ერთ-ერთ უნივერსიტეტის კარების წინ. ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ თვისებაა, როგორც ხედავთ! ᲗᲕᲘთ აღმოსავლეთის მოგვიც ამაზე უკეთესს ვერას მოიგონებს!

ᲐᲥ ის ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘთ შეჩერდა.

— ᲛᲔᲠᲔ მალე გამოიჩინა სასწაული თქვენზე,—ვკითხე მას ღიმილით.

— «ᲛᲐᲚᲔ—სამი თვის უკან. მანამდის-კი მამა-ჩემმა, მიიღო-რა მხედველობაში მისი გრძნეული მიდრეკილება, დაატყვევა ის ᲪᲮᲠᲐ-ᲙᲚᲘᲢᲣᲚᲡ ყუთში,—ვინ იცის, ეშმაკს არ სძინავს, არ გაიპაროსო. მე და ᲚᲣᲙᲐ სახლში დავბრუნდით; ზაფხული მშვენიერად გავატარეთ. ᲩᲕᲔᲜᲘᲡ სოფლის უცხო ბუნებამ თვისის ქორფა, ნაზის ჰაერით სრულებით დაგვავიწყა ქალაქის მტვერიანი ქუჩები, მისი შეუწყვეტელი ხმაურობა და ვაი-ვაგლახი. ᲩᲔᲛᲘ თავიც ᲪᲝᲢᲐᲗᲘ შემსუბუქდა, თითქოს ყოვლად შემძლე მკურნალმა, ბუნებამ გამორეკა იქიდამ ყველა მავნე სული, რომელიც-კი უებრო პედაგოგიის წყალობით დაბუდებულიყო შიგ. სამი თვის უკან მამა ჩემმა გააღო ყუთი და მოწიწებით მომაწოდა ჩემი გრძნეული თაბახი; მას უნდა გადავეტანე ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ. ᲓᲔᲓᲐᲛ საგზლად მსუქანი, მოხარშული ვარია მომიმზადა, ᲩᲔᲛᲝᲓᲐᲜᲨᲘ ტანისამოსი და თეთრეული ჩამილაგა, ჯიბეში ფული ჩამიდო, დამლოცა, წალმა დამაბრუნა და გამისტუმრა... ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘთ ᲩᲔᲛᲝ სოფელო!.. ᲩᲔᲛᲘ ᲑᲐᲠᲒᲘ კარგა მძიმე გახლდათ: ერთი ᲩᲔᲛᲝᲓᲜᲘᲡ გარდა, რომელიც სახლიდამ გამატანეს, მე მეორეც თან მომქონდა,—ეს იყო მრგვალი ძვლის ᲩᲔᲛᲝᲓᲐᲜᲘ—სარქველი, სადაც ᲩᲔᲛᲡ ᲞᲐᲢᲘᲔᲪᲔᲛᲣᲚᲡ და მარად სახსოვარს ოსტატებს ხელოვნურად ჩაელაგებინათ შემდეგი ყოველ-გინათლებულ კაცისათვის საჭირო ნივთები: ᲙᲘᲣᲜᲔᲠᲘᲡ ლათინური გრამატიკა, ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲜᲘᲡ სიტყვები, ᲪᲔᲖᲐᲠᲘᲡ de bello gallico, ᲢᲘᲢᲝᲡ ᲚᲘᲕᲘᲡ ისტორია, ᲕᲘᲠ�გᲘᲚᲘᲘᲡ და ᲰᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡ პოეზია, ᲠᲝᲯᲓᲔᲡᲢᲕᲔᲜᲡᲙᲘᲡ საუცხოო ისტორია და სხვა ბევრი ამ გვარი ყოველს შემთხვევაში გამოსადეგი და ტვინის სავარჯიშებელი მასალა. ᲐᲛ მძიმე ტვირთის მიუხედავად მატარებელი ქარის სისწრაფით მიმაქროლებდა გადატიტვლებულს რუსეთის მინდვრებზედ ქალაქ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡᲙᲔᲜ.

«ᲛᲐᲚᲔ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲡᲐᲪ მივაღწიე... მიველი თუ არა, მეორე დღესვე მის აღმატებულებას ბატ. რექტორს უნივერსიტეტისას მივართვი ᲩᲔᲛᲘ ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲨᲔᲛᲫᲚᲔ «დამამწიფებელი» თაბახი შესაფერის თხოვნით და საბუთებით. ᲛᲘᲡᲛᲐ აღმატებულებამ აღირსა ᲩᲔᲛᲡ ქალალდებს თავის აღმატებული ყურადღება და ყოველის უწინარეს მედიდურად გადააველო თვალი «სიმწიფის» ნიშნებს: წარმოიდგინეთ ᲩᲔᲛᲘ განცვიფრება, როცა მისს ᲖᲔᲕᲡᲣᲠ სახეზედ შევამჩნიე სიამოვნების ღიმილი,—ტყვილად კი არ მესვა ლათინურის ენის ᲪᲝᲓᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 5!!. რაღა გაგიგრძელოთ,—მე მიმიღეს უნივერსიტეტში იურიდიულს განყოფილებაზე. როგორც ხედავთ, მე ერთბაშად გავჩნდი სულ სხვა გვარ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ უცნობ პირობათა შორის:—სხვა ქვეყანაში, სხვა ხალხში, უცხო ჰაერში... სულ ყველაფერი ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ უცნობი იყო... მალე რუსის სტუდენტებიც გავიცანი... უნდა გავტყდე, რომ კრიტიკულად მხოლოდ აქ დავაკვირდი ᲩᲔᲛᲡ-თავს; ნათლად დავინახე, რომ ᲩᲔᲛᲡᲐ და მათ შორის იყო ღრმა უფსკრული, რომლის ამოვსების იმედი სრულიად გადამიწყდა... ᲮᲨᲘრად ვკითხავდი ხოლმე ᲩᲔᲛᲡ თავს: «რა ხარ შენ მათთან შედარებით?»—და ამის პასუხად გავხსნიდი ᲩᲔᲛᲡ რგვალს ᲩᲔᲛᲝᲓᲐᲜᲡ, ამოვალაგებდი თვითეულად მზრუნველობით დამწკრივებულს ძვირფასს საგნებს: ლათინურს გრამატიკას, ᲪᲔᲖᲐᲠᲡ, ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲜᲡ, ᲕᲘᲠᲒᲘᲚᲘᲡ, ᲰᲝᲠᲐᲪᲘᲡ და კიდევ სხვა ბევრს, ᲩᲔᲛᲘ გონების განმანათლებელს ნივთებს; ამის შემდეგ გონების თვალისწინ დავიყენებდი რომელსამე ᲩᲔᲛᲡ ნაცნობ რუსის სტუდენტს... ᲘᲡ სჯიდა პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, ფილოსოფიაზე, თავის სალსზე, მის წარსულსა და ᲬᲐᲛᲝᲜᲐᲖᲔ, სამშობლო ლიტერატურაზე, ერთის სიტყვით ყველაფერზე, რასაც კი მისი გონების ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘ მისწვდებოდა; ის გატაცებით, მჭევრ-მეტყველურად მიხატავდა თავის მომავალს საერო მოქმედებას, წმიდა შრომის იდეალს,—რომლისათვისაც ის ემზადება და რომელსაც უნდა შესწიროს თვისი

ბარებია ბესთავა-შვილისათვის. ბესთავაშვილმაც იკისრა, რომ, მართალია, «ზეკუციამ» წაართვა ჩადუნელს სამი ხარი და ჩამაბარესო, მაგრამ კანონიერად იყო, თუ უკანონოდ, მოსამართლეს ნება არა აქვს, რომ «ზეკუციის» მოქმედებას შეეხოს და წართმეულები ჩამოართვას ვისმეო. «ზეკუციამ» ათასობით მოახდინა ამ გვარი საქმე და რომელი კანონია, რომ ახლა თქვენ ისევ გამოაბაროთო.—მოსამართლემ მშვენიერად ახსნა, რომ «ზეკუციას» ეგ უფლება არა ჰქონდა, რომ გამოძიებაში შესულიყო, მართალი და მტყუვანი გაერჩია, ერთისთვის წაერთმია და მეორისთვის მიეცა; ეგეთი უფლება აქვს მინიჭებული მარტო მომრიგებელ მოსამართლეს და არა «ზეკუციას» და სხვათა პირთაო; ამ შემთხვევაში «ზეკუცია» ძლიერ უკანონოდ და წინ-დაუხედავად მოქცეულაო. რაღა თავი შეგაწყინოთ—მოსამართლემ დაადგინა ასეთი განაჩენი: გამოერთვას ბესთავა-შვილს სამი ხარი, ანუ ღირებული სამი ხარისა ოცი თუმანი და ერთი თუმანიც საქმის საწარმოებელი მიხა ჩადუნელის სასარგებლოდაო და მაშინვე მიიღო ჩადუნელმა აღსრულებითი ფურცელი. ამ საქმის მსაჯული იყო ბორის გამომძიებელი დავით ტერ-სტეფანოვი, რომელიც განაგებდა იმ დროს დროებით ბორის მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას. ყველა მაყურებელი მადლიერი დარჩა ამ განაჩენისა, ძლიერ შეებრალა ყველას «ზეკუციისაგან» დაჩაგრული ჩადუნელი და ყველანი ლოცავ-კურთხევას უგზავნიდენ ხსენებულს ტერ-სტეფანოვს ასრეთი კანონიერ განაჩენის დადგენისათვის.

ბარდაწყვეტილების შემდეგ, ბესთავა-შვილი დარჩა პირ-დაღრენილი და ფრიად შეწუხებული, უფრო იმიტომ, რომ ამ წართმეულ საქონლიდამ «ზეკუციას» უფრო ბევრი უსარგებლია და გარდახდა კი მარტო ბესთავა-შვილს დაატყდა თავზედ.

ცხადია, რომ ამის შემდეგ სხვებიც მიმართამენ მოსამართლეს და ვინც დაამტკიცებს ჩადუნელივით, მაშინ ყველანი მიიღებენ მოსამართლის წყალობით თავიანთ საკუთრებას, მაგრამ რა ჰქნას იმან რომელსაც ის უნდა გამოერთვას, რისგანაც, «ზეკუციას» ხელში გავლის შემდეგ, მეათედიც არ მიუღიათ.

წერილი რედაქციისადმი

მე წავიკითხე «დროების» № 113-ში ქუთათურ კორესპონდენციაში შემდეგი: «არ შემიძლია არ დავასახელო ზოგიერთნი პირნი, რომელნიც ძალიან მოწადინებულნი იყვნენ ბ-ნი დიმიტრი ივანეს-ძის ყიფიანის ამორჩევისა და კიდეეაც თავიანთ გაელენით, თუ სიტყვით ბევრად წასწიეს წინ საქმე; ეს პირნი არიან აკაკი წერეთელი, ქირილე ლორთქიფანიძე და თ-დი ალ. ნიჟარაძე, რომლის რაინდულმა და სინიდისიერმა მოქმედებამ მეტის-მეტად გაგვაკვირვა.

ღმერთმა თქვენი ცოდვა მომცეს, მკითხველნო, თუ აკაკი წერეთელს და ქირილე ლორთქიფანიძეს ან სახელი ეხსენებიოსთ კრებაში დიმიტრი ყიფიანისა, ვიდრე სხვებმა არ წარმოსთქვეს ამ პატიოსანი კაცის სახელი და ვინც წარმოსთქვა, ქვეით მოგახსენებთ.

საქმე ასე გახლდათ: ბატონმა თავსმჯდომარემ ალ. ნიჟარაძემ კრებაში გამოაცხადა: «ბატონებო! რას ბრძანებთ» როგორ ინებებთ შესახებ გუბერნიის კეთილშობილთ წინა-მძღოლის, სეკრეტრის და მაზრის წინამძღოლის ამორჩევისას? თავადმა აკაკი წერეთელმა სიტყვის ნება ითხოვა და წარმოსთქვა, თუ რა ნაკლულევანება გვაქვს ან რა მდგომარეობაში ვართ და რომ ჩვენი საქმეების გაუმჯობესობისათვის საჭიროა მოიბოჭოს თავად აზნაურობაში ფული და შედგეს თანხა ოთხმოც ათას მანეთამდის, რათა სარგებლით დაიფაროს რამოდენიმე ჩვენი საჭიროება; ბატონმა კ. ლორთქიფანიძემ ამაზედ ბანი დართო და კრებამაც ტაში დაჰკრა; არ ვიცი თანხმობისა იყო ეს ტაშის-კვრა თუ უთანხმოებისა, ბოლოს კი გამოდგა, რომ თურმე უთანხმოების ტაშის კვრა ყოფილა. მასუკან წარმოსდგა კრებაში მორაპნის მაზრის მცხოვრები ს. ბ. ჩ—ძე და სიტყვის ნების აღების შემდეგ, სთქვა.

«ბატონებო! თავადმა აკაკი წერეთელმა იმისთანა საგრძნობელი სიტყვები წარმოსთქვა, როგორც ეკუთვნის ნამდვილს მამულის შვილს და დიდად სასარგებლო იქნება ბატონი აკაკისაგან წარმოთქმული თანხის შედგენა, მაგრამ საშიში არის, რომ კენჭის ყრით გაშავდეს ამისთანა კეთილი საქმე. ჯერ ნება მომეცით ვიკითხო, სად უნდა იქმნას შენახული ეს ჩვენი ახლად შესადგენი თანხა; ვაი, თუ ამ ახლად დასადგენს თანხაშიაც თაგვები შეგვეპაროს და გამოგვიხრან იქიდგან არა თუ მარტო სარგებელი, თავნიც ზედ მიაყოლონ. ნ.—ამაზედ ცოტა ხნით სიცილის შემდეგ, თავადმა აკაკი წერეთელმავე განმარტა, რომ ეს თანხა უნდა შეეინახოთ ერთს რომელსამე საიმედო ბანკში სადაც საშიში არ იქნება თავნი ფულის დაკარგვისა და პროცენტები იქიდგან ვახმაროთ ჩვენს საზოგადო საჭირო საგნებს. ბოლოს უყარეს კენჭი ამ საგანს, მაგრამ არ გავიდა.

შემდეგ ამისა წარმოსდგა კრებაში ს. მ—ნი, რაჭის მაზრის ტყის მცველი და სთქვა დაახლოებითი შემდეგი:

«ბატონებო! დრო არის გამოვიღვიძოთ, ბევრი საჭირო საგნები გვიდევს წინ და სულ, რომ არ დავიღუპოთ ჩვენ და ჩვენი მომავალი არ დავღუპოთ, საჭირო არის ეხლა გამოვირჩიოთ ჩვენს წინა-მძღოლად ჭკვიანი, სწავლული, გამოცდილი, გაბედული, შორს გამჭერეტი და პატიოსანი კაცი და ამისთანა კაცი არის დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.

ამაზედ იმ წამსვე თავადმა მ. ლორთქიფანიძემ, რომელიც დიდის ხნიდან ასახელებდა დიმიტრი ყიფიანს, რის მოწამენიც მე თვით ამის დამწერი ვარ, და სხვებმაც ბევრმა დასძახეს ბრავო ტაშის კვრით, თუმცა ჯამაგირის დანიშვნაზედ იყო ცოტა-ოდენი ჩოჩქოლი, მაგრამ ჩქარა დათანხმდენ იმაზედაც. რაკი კრებას ასე გულმოდგინედ უნდოდა ბატონი დიმიტრი ყიფიანის ამორჩევა, წარმოსდგა თავსმჯდომარე თავადი ალმასხან ნიჟარაძე და სთქვა: ბატონებო! დიმიტრი ყიფიანს თქვენ არ მოუძებნიხართ და არც არავისთვის უთხოვნია თქვენგან გამოირჩიოთ იგი თქვენს წინამძღოლად, არამედ თქვენ თვითონ მოძებნეთ იგი, როგორც სწავლული, გამოცდილი და დიდი ჭკვიანი კაცი; მეც ჩემის მხრით გირჩევთ, რომ ის პატიოსანი და სწორედ ღირსი კაცი ამოირჩიოთ თქვენს მოწინავედ; დიდი სირცხვილი იქნება, რომ ან ერთმა რომელიმე თქვენგანმა შავი კენჭი ჩაუგდოს მას. ორი კენჭი მე მაქვს და, აი, პირველად მე გაძლევთ მაგალითს.—ამასთან თ. ნიჟარაძემ გამოსწია კოლოფი და თავ-ახდილად ჩაუგდო ორი თეთრი კენჭი, შემდეგ მოჰყვნენ სიისამებრ და არც ერთი შავი არ ჩავარდნილა. რომ ყოველივე მარ-

---

სიკოცხლე... «შენ კი რას იტყვი შენს მომავალს მოქმედებაზედ?»—ვეკითხებოდი ჩემს-თავს. შეგიძლიან შენ მცირეოდენიც არის სამსახური გაუწიო შენს ხალხს, რომლის არც ენა იცი, არც წარსული, არც აწმყო?.. არა, არა, და ათას ჯერ არა!! ის (რუსის სტუდენტი) თუ ასე დარწმუნებით ამბობს თავის დანიშნულებაზე, მას საფუძველიც აქვს: მას შეუსწავლია ნიადაგი, რომელზედაც უნდა დაამყაროს თავისი მოქმედება... შენ კი შეგისწავლია შენი ქვეყნის ნიადაგი? რომ გკითხონ «ქუბა» რა არისო, შენ სწრაფად უპასუხებ, მაგრამ ის კი არ იცი—სად იწყება რიონი, ან მტკვარი; შენ კარგად იცი—ვინ იყო, ან რას შვრებოდა ატილა, და გაგებაც არა გაქვს მისი, თუ რა კაცი იყო ვახტანგ-ბორგასლანი; შენ ისიც კი იცი რა დასწერეს ხერასკოვმა ან ტრედიაკოვსკიმ, და არც კი გიფიქრნია წაგეკითხა ოდსმე ჩვენის გენიოსის შოთა რუსთაველის უკვდავი თხზულება!.. რამდენსაც უფრო ღრმად ვჩხრეკავდი ჩემს შინაგანს შინაარსს, მით უფრო ნათლად ერწმუნდებოდი, რომ თავისუფალის და სასარგებლო შრომისთვის მე არ ვიყავი მომზადებული... მაშ რად უნდა გამოვმდგარვიყავ? რა სახე უნდა მიეღო ჩემს მოქმედებას ცხოვრების ფართო მოედანზე?—კანცელიარული: მე უნდა აღმესრულებინა რომლისამე პატარა ბორბლის როლი იმ რთულს და უზარ-მაზარ მეხანიზმში, რომელსაც ბიუროკრატიას ეძახიან,—მე უნდა გავმხდარვიყავ ჩინოვნიკი... სხვა რაღა მრჩებოდა?!.

ამ სიტყვებზე მან ჩაჰკიდა თავი და მისმა სახემ მიიღო რაღაც ულონო სასოწარკვეთილების გამომეტყველება; შემდეგ ღრმად ამოიკვნესა და გულხელი დაიკრიფა. მე შემებრალა ეს ახალგაზდა კაცი.

—«ჩემს უნივერსიტეტის ცხოვრებაზე,—განაგრძო მან—ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი;—ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემზედ უფრო გონება-გახსნილ სტუდენტებთან დამოკიდებულებამ ორგვარად იმოქმედა ჩემზე: ერთის მხრით მე გავიგე, თუ რასში მდგომარეობს ყოველი განათლებული კაცის დანიშნულება, რომელსაც კი ჰსურს ცოტად თუ ბევრად გონიერად მოიხმაროს თავისი ბუნებითი ნიჭი და სწავლა, და მეორეს მხრით ისიც ნათლად დავინახე, რომ ამ დანიშნულების აღსრულებისთვის მე იმდენად გამოვდგებოდი, რამდენადაც თქვენ, ვსთქვათ, რომელიმე ახალის ვარსკლავის აღმოჩენისთვის... ერთის მხრით სურვილი, მეორეს მხრით ულონობის გრძნობა... ოჰ, ეს მეტის-მეტი შესაბრალისი მდგომარეობაა!.. ქარგად მიხვდებით, თუ რა შედეგი მოსდევს ამ გვარს ზნეობრივს განაწილებას... მე დავრჩი ცხოვრების გარეშე, როგორც ულირსი მისი შვილი...

«დიპლომის მიღების შემდეგ მე დავბრუნდი სამშობლოში და სამსახურში შევედი. ეს იყო 187... წელს, მაგრამ ერთის წლის უკან დავანებე თავი, რისთვისაც დედ-მამამ ხელი აიღო ჩემზე .. რა მექნა? სამსახური მე არ მაკმაყოფილებდა... მას აქეთ ვსცხოვრობ თავისუფლად... საუბედუროდ არც ეს მაკმაყოფილებს! მე მუდამ ვგრძნობ, რომ რაღაც მაკლია, მუდამ ღელვასა და შფოთვაში ვარ, ჩემს სულსა და გულს მოსვენება არა აქვს... ხან ერთს საქმეს მოვკიდებ ხელს, ხან მეორეს; მაგრამ არც ერთი არ მამშვიდებს და ვერც ერთს მათგანს ვერ ვაბოლოვებ... «წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდება»..... ჩემს დაუდგრომლობას და ჩემის-თავის უკმაყოფილებას სამზღვარი არა აქვს? ღმერთო ჩემო! რა ჯოჯოხეთური რამ არის ეს მდგომარეობა!..

ის ადგა და აღელვებისაგან დაიწყო სიარული აჩქარებულის ნაბიჯით. რაღაც ყრუდ და უსიამოვნოდ გაისმოდა მისი ფეხის ხმა დადუმებულს, მოწყენილს ოთახში, რომელშიაც საღამოს ბინდი შეუმჩნეველად შემოპარულიყო... გარეთ დრო-გამოშვებით გაიწკარუნებდა ტროიკის ზარი და ისმოდა მძიმე ქშენა და გახშირებული სტვენა ორთქლით-მატარებლისა.. სტანციის მოსამსახურემ შემოიტანა ანთებული სანთელი და დასდგა სტოლზე. ახალ-გაზდა კაცი გაჩერდა ჩემ წინ გულ ხელ დაკრეფილი და განაგრძო.

(დასასრული ხვალ)

თლა ასე იყო, ამაზედ ეიმოწმებ მე თვით ბ. ბ. აკაკი წერეთელს, ქირილე ლორთქიფანიძეს და ალ. ნიჟარაძეს, მათ დაიდვან გულზედ ხელი და წრფელის სინიდისით სთქვან ასე იყო ეს, თუ არა.

ვინმე რჩევაში მონაწილეთაგანი.

ივნისის 10 1885 წ.

დ. უკირიდა.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივნისის 15-ს

პეტერბურგი. გამოცხადებულია წესდება სათავად-აზნაურო ბანკისა: ბანკი წესდება იმისთვის, რომ მიეცეთ დიდვადიანი სესხი მამულის გირაოში მამულის პატრონთ, რომელნიც ამასთანავე შთამომავლობით თავად-აზნაურნი არიან. ბანკის მოქმედება გავრცელდება ევროპის რუსეთზედ, გარდა ფინლიანდიისა, პოლშისა და ბალტიის ზღვის ნაპირა გუბერნიებისა. ბანკის რჩევაში მოწვეულ იქმნებიან ყოველ-წლივ რამდენიმე წევრნი ბანკის განყოფილებათა და ოთხამდე თავად-აზნაურთა კრებისაგან ამორჩეულნი პირნი. ადგილობრივ კი ბანკს აწარმოებენ მისნი განყოფილებანი, რომელშიაც იქნებიან ბანკის გამგე წევრნი—დამფასებელნი და თავად-აზნაურობის წევრნი, თავად-აზნაურთა კრებისაგან ამორჩეულნი. სესხი გაიცემა მამულზედ, რომელსაც ვალი არა ადევს-რა, ან იმ პირობით, რომ ადებული სესხით ვალი გადასხდილ იქმნას. თუ დაგირავებული მამული არამემკვიდრეობის წესით გადაეცემა სხვა წოდების პირს, ასალმა პატრონმა ვალი უნდა ხუთის წლის განმავლობაში გადაიხადოს. სესხი გაიცემა 48 და 36 წლით და 60%-მდე დაფასებისა. 1,000 მანათამდე დაფასებულ მამულში სესხი არ მიიცემა. სესხი შეიძლება გაიცეს 70%-მდეც, თუ იგი საჭიროა კერძო ბანკიდამ გადმოსაგირავებლად და თუ ეს უკანასკნელი ვალი ამ წესდების გამოცემამდის არის აღებული

სესხი გაიცემა ნორმალურის, ანუ სპეციალურის დაფასების ძალით. ფაბრიკები, ქარხნები და მადნეულობა არა ფასდება. ტუ მაშინ მიიღება სახეში, თუ წესიერად იკაფება. სესხის მისაცემად გამოიცემიან გირავნობის ფურცლები 5%-იანნი 100, 300, 500, 1,000 5,000 და 10,000 მანათის ღირებულობისა და თითონ ბანკიც ასადებს მათ, თუ სამინისტრო თანახმაა, ან ხელში აძლევს მოვალეთ. მთელის ვადის განმავლობაში ყოველ ექვს თვეში ერთხელ მოვალემ უნდა აძლიოს ბანკს $2^1/_2$% სარგებელი, $^1/_4$% თავნის გადასახდელი (თუ 48 წლის სესხია) და $^1/_2$% (თუ სესხი 36 წლისაა) და $^1/_8$% ბანკის სარჯისათვის და სათადარიგო თანხის შესადგენად. ამას გარდა ერთბაშად ვალის აღების დროს $^1/_4$%. ვინც ვადაზე არ შემოიტანს გარდასახადს, იმას პირველ ორ თვეს გადასდება ჯარიმა $^1/_2$% და შემდეგს თვეებში 1%. თუ ამ დარჩენილს გარდასახადს მეორე ექვსს თვეში არ შემოიტანენ, მამული გაიყიდება. თუ რაიმე მოულოდნელი უბედურება შეემთხვა მამულის პატრონს, ერთის წლის გადასახადი შეიძლება სამის წლით გადაიდვას იმ პირობით კი, რომ ეს ფული ორ წელიწადზედ გარდაისადოს. ამ ფულზედ ჯარიმის მაგიერად უნდა აძლიოს მოვალემ 6%. მამულის პატრონის დანაშაულობით ფასდაკლებული მამული უნდა გაისინჯოს განსაკუთრებული კომისიისაგან და თუ მამული აღარ უდრის აღებულს ვალს, პატრონმა უნდა შემოიტანოს შესაფერი ნაწილი ვალისა, ან მამული გაეყიდოს ბანკის გამგეს წელიწადში ექმნება ჯამაგირი 7,000 მან., რჩევის წევრთ თითოს 4,500 მან.; განყოფილებათა გამგეთ პირველი სარისხისას თითოს—5,000 მანათი, მეორე სარისხისას—4.000 მან. და დამფასებელთ თითოს 2,500 მან. თავად-აზნაურობისაგან დანიშნულ წევრთ ჯამაგირი არ ექმნებათ, გარდა იმ პირთა, რომელნიც რჩევის წევრებად იქნებიან მიწვეულნი და რომელთაც მთავრობის დანიშნულებისამებრ მიეცემათ თითოს 4,500 მან.

ლონდონი. აგვანის სამზღვარზედ მოლაპარაკება მაღე ხელ-ახლა დაიწყება სალისბიურისა და სტაალის შორის; ღესარიც მიიღებს მონაწილეობას. ჰფიქრობენ, რომ ჯერედ გადუწყვეტელნი საგანნი ადვილად გადასწყდებიანო.

ივნისის 17-ს.

არხანგელსკი. გუშინ დიდი მთავარ ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე სოლოვეცის მონასტერში წავიდა.

ბირჟა

პეტერბურგი ივნისის 14.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე—	— $24^5/_{32}$ $24^5/_{16}$ $24^3/_{16}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე—	— $205^3/_4$ 206 $206^1/_2$
100 მან. კურსი სამის თვით პარიუზე —	— $254^1/_2$, 255
პოლიუმპერიალები —	8 მ. 18 კ. გაუ.
ტამოუნის კუპონები —	8 მ. 15 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი —	1 მ. 29 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი—	— 6 და $6^3/_4$%
5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა —	— 99 მ. გაუ.
მეორე გამოცემისა —	$97^1/_2$ მ. გაუ.
მესამე გამოცემისა —	97 მ. 87 კ. გაუ.
მეოთხე გამოც. —	— 97 მ. 37 კ. გაუ.
მეხუთე გამოც. —	— $97^1/_2$ მ. გაუ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. —	— $95^3/_4$ მ. გაუ.
მეორე გამოც. —	— $95^3/_4$ მ. გაუ.
მესამე გამოც. —	— $95^1/_2$ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა —	$225^1/_2$ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა—	$202^1/_2$ მ. გაუ.
ოქროს რენტა —	— 169 მ. 62 კ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები—	— — 27 წ. 89 მ. გამუ. 43 წ. $88^3/_4$ მ. გამუ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	18 წ. 91 მ. გამუ. 43 წ. 90 მ. გამუ.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოთში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კოკრონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფაროსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 16 თიბათვიდამ 1 კათათვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა —	—1 გირ. 5 კ
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისხისა—	—1 ბ. $2^1/_2$
მეორისა — —	—1 ბ. 2 კ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი სარისხის	—1 ბ. $4^1/_2$
მეორისა — —	—1 ბ. 3 კ.
მესამისა — —	—1 ბ. $2^1/_2$

ჯვარის-მამის პური:

პირველის სარის ლავაში	1 ბ. $4^1/_2$
მეორის სარის. ლავაში	1 ბ. $3^1/_2$
მესამისა — —	—1 ბ. 3 კ

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა—	1 ბ. 8 კ.
მეორისა — —	—1 ბ. 7 კ.
სუკი— — —	—1 ბ. 15 კ.
ცხვრის ხორცი—	—1 ბ. 8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა	1 ბ.
მეორისა —	—1 ბ.

განცხადებანი

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში ისყიდება ყოველ-გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში.

(8—3)

ევროპის ბაღში



დღეს ივნისის 18-ს.

დიდი

ხელოვნურ-ოპტიური წარმოდგენა

ფიზიკოსის ვ. დერინგისა

მოძრავი დაბუნდულის სურათებით

ახალი პროგრამა

საზოგადოების საერთო სურვილით:

ჩრდილოეთის ექსპედიცია პროფესორის ნორდენშელდისა 1878-79 წ.

—

სცენა სასაფლაოზე, ოპ. „**რობერტ დიავოლი**“.

—

საკვირველებათა გამოქვაბულნი რუსალკების საბრძანებელში.

—

სურათი სხვა-და-სხვა ქვეყნებიდამ.

—

პლანეტთა სისტემა, ანუ საკვირველებანი ცათა

—

ჩინეთური ფერების თამაშობა

და

სასაცილო სურათნი.

—

კონცერტი დაიწყება 7-ს საათზედ.

წარმოდგენა 9 საათზედ.

—

დაწვრილებითი ცნობანი ავიშაში იქნება. პარასკევს, ამ თვის 21 შემდეგი წარმოდგენა იქნება ახალის პროგრამით.

Пріятнаго вкуса, полезенъ дѣтямъ и взрослымъ, ОСОБЕННО МАЛОКРОВНЫМЪ, какъ увеличивающій питаніе.
Продается во всѣхъ кондитерскихъ, гастрономическихъ, аптекарскихъ магаз. и аптекахъ.
Цѣна kop. въ 20 плит. 1 р. 20 k. ½ kop. 70 k.
Перес. kop. 40 k., 2 kop. 60 k. и т. д.

(Ц. 15375.). (50—5)

შოკოლადი

ს. სიუ და კ°.

(Ц. 2542).

(46—18)

თბილისის საქალაქო გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა ივნისის 18-ს, შუადღისას, გამგეობის სადგომში დანიშნულია ეაჭრობა იჯარით გაცემისათვის საქალაქო სახლზე (გოლოვინის პროსპექტი ადრე შიოევის სახლი) სადურგლო, სახურაეის და სახურაო მუშაობის შესასრულებლად. ანგარიშისა და პირობათა გაგება შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღეეის 1-მდე გარდა კვირა-უქმისა. (3—3)

Доз. ценз. Тифлисъ, 17 Іюня 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.